ავტობიოგრაფია

მე, თემურ შოთას ძე გოგოხია დავიბადე 1977 წლის 2 ნოემბერს ქ. გალში.

1993 წელს დავამთავრე ქ. გალის №4 საშუალო სკოლა.

2000 წელს დავამთავრე საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის იურიდიული ფაკულტეტი და მომენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.

2000-2002 წლებში ვმუშაობდი თბილისის საოლქო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის სხდომის მდივნად.

2002-2003 წლებში ვიყავი ამავე სასამართლოს კონსულტანტი,

2003-2005 წლებში ვმუშაობდი თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლის თანაშემწედ.

2006-2007 წლებში ვიყავი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანაშემწე.

2007 წელს ვმუშაობდი მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის განყოფილების პროკურორად, ხოლო შემდეგ შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის შსს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორად.

2008-2010 წლებში ვიყავი ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე და ამავე სასამართლოს თავმჯდომარე.

2010-2012 წლებში ვმუშაობდი ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ და ამავე სასამართლოს თავმჯდომარედ.

2013-2017 წლებში ვიყავი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე და ამავე სასამართლოს თავმჯდომარე.

2017 წლის ივლისიდან ვარ თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.

2018 წლიდან თანამდებობაზე გამწესებული ვარ უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

2021-2025 წლებში ვიყავი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარე.

2025 წლის ოქტომბრიდან დღემდე ვარ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.

2021-2024 წლებში ვიყავი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი.

ჩაბარებული მაქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო და პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდები.

მყავს მეუღლე და შვილები.